პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

# მსოფლიო პრაქტიკა

დეკემბერი / 2022

## მთავარი სიახლეები

გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ბავშვთა კოდექსთან დაკავშირებით დიზაინის ტესტი შეიმუშავა

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ საძიებო სისტემების ოპერატორებმა უნდა წაშალონ ძიების აშკარად არაზუსტი შედეგები

მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ (EDPB) მგზავრის პირადი მონაცემების (PNR) დირექტივის თაობაზე განცხადება გამოაქვეყნა

ევროპული კომისიის, ევროპარლამენტისა და საბჭოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ევროპულ დეკლარაციას ციფრული უფლებებისა და პრინციპების შესახებ

# გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ბავშვთა კოდექსთან დაკავშირებით დიზაინის ტესტი შეიმუშავა

12.12.2022

გაერთიანებული სამეფოს ინფორმაციის კომისრის ოფისმა დიზაინის ტესტი შეიმუშავა. ტესტის მიზანია, დაეხმაროს დიზაინერებს ისეთი პროდუქტებისა და სერვისების ბავშვთა კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში, რომ-ლებზე წვდომაც ბავშვებს ექნებათ.

## რა არის ბავშვთა კოდექსი?







ფოტო: ico.org.uk

„ასაკის შესაბამისი დიზაინი: online სერვისების პრაქტიკის კოდექსის“ მიზანია GDPR-თან შესაბამისობის მხარდაჭერა, რათა ციფრული სერვისები სათანადოდ ითვალისწინებდეს ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიებს. 2021 წლის 2 სექტემბრიდან ელექტრონული სერვისების მიმწოდებლები ვალდებულნი არიან ბავშვების მონაცემთა გამოყენებისას, დაიცვან ამ კოდექსით დადგენილი 15 სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტები ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ბავშვის საუკეთესო ინტერესები, მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასება, ასაკის შესაბამისობა, გამჭვირვალობა, მონაცემთა მინიმიზაცია და სხვა.

თითოეული ტესტი შეიცავს ინფორმაციას, რომელშიც დეტალურადაა აღწერილი საუკეთესო პრაქტიკა და ასევე, ბავშვთა კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები.

მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანო დაინტერესებულ პირებს მოუწოდებს, რომ ტესტის შევსებამდე გაეცნონ „ბავშვთა კოდექსის დიზაინის სახელმძღვანელოს“.

ტესტი შეეხება ოთხ ძირითად საკითხს:

1. ბავშვისთვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საუკეთესო გარემოებების შერჩევა;



ფოტო: ico.org.uk

2. მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის გათვალისწინება;

ფოტო: ico.org.uk

3. ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა, როგორც პირველადი პარამეტრი (“by default”);




ფოტო: ico.org.uk

4. ბავშვის საჭიროებების გათვალის-წინება, მისი ასაკობრივი კატეგორიის შესაბამისად.



ფოტო: ico.org.uk

## ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრმა სახელმწიფოებმა პერსონალურ მონაცემებზე წვდომის შესახებ დეკლარაცია მიიღეს

14.12.2022

ფოტო: oecd.org

2022 წლის 14 დეკემბერს, OECD-ის წევრმა სახელმწიფოებმა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხებზე პირველი მთავრობათშორისი დეკლარაცია მიიღეს. აღნიშნული დეკლარაცია შეეხება ადამიანის უფლებების დაცვას ეროვნული უსაფრთხოებისა და სამართალდამცავი მიზნებისთვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომის კონტექსტში.

OECD-ის დეკლარაციის მიზანია მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაცემის გაუმჯობესება, რომელიც გლობალური ეკონომიკის ციფრული გარდაქმნის პირობებში არსებით საკითხს წარმოადგენს. შეთანხმებაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა ჰქონდეთ ეროვნული უსაფრთხოებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს საკანონმდებლო ჩარჩოს ფარგლებში პერსონალურ მონაცემებზე წვდომა.

✅ სამართლის უზენაესობასა და დემოკრატიულ ღირებულებებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, დეკლარაცია კრძალავს სახელმწიფოსთვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

ზემოაღნიშნული შეთანხმება ავსებს OECD-ის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, პერსონალურ მონაცემთა დაცვას შეეხება და მიზნად ისახავს მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაცემის ხელშეწყობას დემოკრატიული ღირებულებების, სამართლის უზენაესობის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვით.

ფოტო: flaticon.com

დეკლარაციაში წარმოდგენილია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის შესახებ OECD-ის წევრ სახელმწიფოთა არსებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ამსახველ ზოგად პრინციპებს.

დეკლარაციაში გაწერილი პრინციპები შეეხება:

- პერსონალურ მონაცემებზე სახელმწიფოს წვდომის საკანონმდებლო რეგულირებას;
- მონაცემებზე წვდომისთვის გამოსაყენებელ სამართლებრივ სტანდარტებს;
- მონაცემებზე წვდომის დასაშვებობას;
- წვდომის შედეგად მოპოვებული პერსონალური მონაცემების დამუშავებას;
- სახელმწიფოთა მიერ გამჭვირვალობის უზრუნველყოფას;
- პერსონალური მონაცემების წვდომაზე ზედამხედველობის განხორციელებას;
- სამართლებრივი დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფას.

## მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ (EDPB) მგზავრის პირადი მონაცემების (PNR) დირექტივის თაობაზე განცხადება გამოაქვეყნა

13.12.2022

ფოტო: edpb.europa.eu

2022 წლის 13 დეკემბერს მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ იმსჯელა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე მგზავრის პირადი მონაცემების შესახებ დირექტივის დანერგვის თაობაზე. დირექტივა შეეხება ტერორისტული და მძიმე დანაშაულების პრევენციას, გამოვლენას, გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მგზავრთა პირადი მონაცემების გადაცემა, დამუშავება და შენახვა უნდა შეიზღუდოს მკაცრი საჭიროებით, კერძოდ, ტერორიზმსა და სერიოზულ დანაშაულთან ბრძოლის მიზნებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, EDPB-მ განაცხადა, რომ მსგავსი ინტერპრეტაცია მნიშვნელოვნად ავიწროებს წევრი სახელმწიფოების მიერ მგზავრის პირადი მონაცემების დამუშავების გზებს. არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, წევრ სახელმწიფოთა უმეტესობის მიერ „PNR მონაცემების“ დამუშავება სრულად არ შეესაბამება CJEU-ს მიერ განმარტებულ „PNR დირექტივას“. შედეგად,

ევროკავშირის ფარგლებში „PNR სისტემით“ ყოველდღიურად შესაძლოა, გაგრძელდეს მონაცემთა სუბიექტის ძირითად უფლებებში არაპროპორციული ჩარევა.




ფოტო: edpb.europa.eu

წარმოდგენილი გარემოების გათვალისწინებით, EDPB-ი მოუწოდებს სახელმწიფოებს, მიღებულ იქნას საჭირო ზომები ეროვნულ დონეზე „PNR დირექტივის“ დანერგვის პროცესის ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიასთან, კერძოდ კი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულში მოიაზრება როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკაში გასატარებელი ღონისძიებები.

EDPB-ი აღნიშნავს, რომ საზედამხედველო ორგანოებს გააჩნიათ სრული კომპეტენცია, შეისწავლონ ეროვნულ დონეზე ევროკავშირის მონაცემთა დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

## საფრანგეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (CNIL) სატელეფონო მომსახურების კომპანია GDPR-ით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის გამო დააჯარიმა

08.12.2022

ფოტო: cnil.fr

[საფრანგეთის მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (CNIL) ერთ-ერთი სატელეფონო მომსახურების კომპანია მონაცემთა სუბიექტის უფლებების და მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის გამო დააჯარიმა.]

ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მომხმარებლები აცხადებდნენ, რომ სატელეფონო კომპანია პერსონალურ მონაცემებზე წვდომისა და წაშლის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით გარკვეულ სირთულეებს ქმნიდა.

ფოტო: flaticon.com

CNIL-ის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- მონაცემთა სუბიექტებს არ ჰქონდათ საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობა. კომპანია მომხმარებლებს პერსონალური მონაცემების შესახებ არ აწვდიდა

ინფორმაციას ან აწვდიდა, თუმცა არასრულად. ასევე, ინფორმაციის მიწოდება არ ხორციელდებოდა დროულად. ყოველივე აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდიოდა GDPR-ის მე-12 *(გამჭვირვალე ინფორმაცია, კომუნიკაცია და მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელების თავისებურებები)* და მე-15 (მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემებზე წვდომის უფლება) მუხლებთან.

- სატელეფონო მომსახურების კომპანიამ მომჩივნის მოთხოვნა არ განიხილა დროულად, რამაც GDPR-ის მე-17 მუხლით გათვალისწინებული „მონაცემთა წაშლის უფლების“ დაარღვევა გამოიწვია.

- GDPR-ის 32-ე მუხლის შესაბამისად, კომპანიამ დაარღვია მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოების სტანდარტი შემდეგ გარემოებათ გათვალისწინებით:

  - მომხმარებლის ანგარიშის შექმნისას, აღდგენისას ან განახლებისას მისათითებელი პაროლები არ იყო საკმარისად ძლიერი;
  - მომხმარებელთა პაროლები ინახებოდა ღია ტექსტის სახით კომპანიის აბონენტების მონაცემთა ბაზაში;
  - მომხმარებლების პაროლები კომპანიის მიერ იგზავნებოდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ღია ტექსტის სახით. ასევე, არ იყო მითითება პაროლების დროებითი გამოყენების შესახებ და არც კომპანია მოითხოვდა მათ შეცვლას;
  - ანგარიშის აღდგენის პროცესში არ იყო სათანადოდ დაცული ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები.

შესაბამისად, CNIL-მა სატელეფონო მომსახურების კომპანია GDPR-ით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევის გამო დააჯარიმა.

## ევროპული კომისიის, ევროპარლამენტისა და საბჭოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ევროპულ დეკლარაციას ციფრული უფლებებისა და პრინციპების შესახებ

15.12.2022

2022 წლის 15 დეკემბერს ევროპული კომისიის, ევროპარლამენტისა და საბჭოს პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ევროპულ დეკლარაციას ციფრული უფლებებისა და პრინციპების შესახებ.

ფოტო: consilium.europa.eu

2022 წლის იანვარში კომისიის მიერ გამოქვეყნებული დეკლარაცია

წარმოადგენს ევროკავშირის ვალდებულებას უსაფრთხო, დაცული და მდგრადი ციფრული ტრანსფორმაციის პროცესში, რომელიც ევროკავშირის ძირითადი ღირებულებებისა და ფუნდამენტური უფლებების შესაბამისად, ინდივიდებზეა ორიენტირებული. დეკლარაცია ადგენს, რომ ევროპული ღირებულებები, ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები უნდა იყოს დაცული როგორც ელექტრონულ სივრცეში, ასევე – ინტერნეტ ქსელის მიღმა. დეკლარაცია მოიცავს ექვს თავს და მომზადებულია პოლიტიკის დოკუმენტების შემქმნელებისა და იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების სფეროში საქმიანობენ. დეკლარაცია განსაზღვრავს მთელს მსოფლიოში ციფრული ტრანსფორმაციის შესახებ ევროკავშირის მიდგომას .

კომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა აღნიშნა: *„ციფრული უფლებებისა და პრინციპების შესახებ ევროპული დეკლარაციის ხელმოწერა ასახავს ჩვენს საერთო მიზანს ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც პირველ ადგილზე ინდივიდებს აყენებს. ჩვენი დეკლარაციით განსაზღვრული უფლებები გარანტირებულია ყველასთვის ევროკავშირში, როგორც ელექტრონულ სივრცეში, ასევე – ინტერნეტ ქსელს მიღმა. დეკლარაციაში გათვალისწინებული ციფრული პრინციპები გვიხელმძღვანელებს ყველა ახალ ინიციატივაზე მუშაობისას.“*

ციფრული ტრანსფორმაცია ადამიანების ცხოვრების ყველა ასპექტზე ახდენს გავლენას. იგი უზრუნველყოფს პიროვნული კეთილდღეობის ზრდას, მდგრადობასა და განვითარების შესაძლებლობებს. თუმცა აღნიშნული წარმოშობს რისკებს, რომლებიც საჭიროებს შესაბამის რეაგირებას. ციფრული უფლებებისა და პრინციპების შესახებ დეკლარაციის საშუალებით ევროპის კავშირს სურს შემდეგ ღირებულებათა განხორციელება:

- ინდივიდზე ორიენტირებული ციფრული ტრანსფორმაცია;
- სოლიდარობისა და ინკლუზიურობის მხარდაჭერა ციფრული განათლების, უნარების განვითარების, სამართლიანი სამუშაო პირობების და ციფრული საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის გზით;
- არჩევანის თავისუფლებისა და სამართლიანი ციფრული გარემოს მნიშვნელობის ხელახალი გაცნობა;
- ციფრულ საჯარო სივრცეში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- უსაფრთხოების, დაცულობის და მხარდაჭერის გაზრდა ციფრულ გარემოში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის;
- მდგრადობის ხელშეწყობა.

ფოტო: hei-prometheus.eu

აღნიშნული უფლებები და პრინციპები გულისხმობს:

- ხელმისაწვდომ და მაღალსიჩქარიან ციფრულ კავშირს ყველგან და ყველასთვის;
- კეთილმოწყობილ საკლასო ოთახებსა და ციფრული კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებს;
- ონლაინ სერვისებზე უწყვეტ წვდომას;
- ბავშვებისთვის უსაფრთხო ციფრულ გარემოს;
- სამუშაო საათების შემდეგ ციფრული გარემოდან განცალკევებას;
- ციფრული პროდუქტების გარემოზე ზემოქმედების შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოპოვებას;
- პერსონალური მონაცემების მოპოვებისა და მათი გაზიარების კანონიერების კონტროლს.

ციფრული უფლებებისა და პრინციპების ევროპული დეკლარაციის ხელმოწერა უმაღლეს დონეზე ასახავს ევროპის კავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების საერთო პოლიტიკურ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ და განახორციელონ აღნიშნული პრინციპები ციფრული ცხოვრების ყველა სეგმენტში, რათა მიაღწიონ 2030 წლის ციფრული კომპასის მიზნებს.




ფოტო: hei-prometheus.eu

ათწლეულის ბოლოს საერთო ციფრული მიზნების მისაღწევად დეკლარაცია, ასევე, ითვალისწინებს სახელმძღვანელო პრინციპებს ციფრული ათწლეულის პოლიტიკის პროგრამის კონკრეტული საქმიანობის, მონიტორინგისა და თანამშრომლობის მექანიზმის შესახებ. განხორციელებული ცვლილებებისა და მიღწეული შედეგების თაობაზე კომისია ყოველწლიურ ანგარიშს წარადგენს „ციფრული ათწლეულის მდგომარეობის“ შესახებ.

დეკლარაციით, ასევე, განსაზღვრულია ევროპის კავშირის პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით, რათა განხორციელდეს ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული ციფრული ტრანსფორმაცია.

## ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ საძიებო სისტემების ოპერატორებმა უნდა წაშალონ ძიების აშკარად არაზუსტი შედეგები

08.12.2022

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ საძიებო სისტემების ოპერატორებმა უნდა წაშალონ ინფორმაცია, იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც ითხოვს ძიების შედეგების გაუქმებას, შეძლებს დაადასტუროს, რომ ამგვარი ინფორმაცია აშკარად არაზუსტია.

ფოტო: nytimes.com

საინვესტიციო კომპანიების ჯგუფის ორმა მენეჯერმა თხოვნით მიმართა Google-ს, რათა გაეუქმებინა მათი სახელების მითითების საფუძველზე ჩატარებული ძიების შედეგები, რომლის საფუძველზე მომხმარებლებს ამ ჯგუფის საინვესტიციო მოდელის შესახებ კრიტიკული სტატიების ბმულები მიეწოდებოდა. საინვესტიციო კომპანიის მენეჯერები ამტკიცებდნენ, რომ აღნიშნული სტატიები არაზუსტ ინფორმაციას შეიცავდა.

კომპანიის მენეჯერებმა, ასევე, სთხოვეს Google-ს, ამოეღო მათი ფოტოები სახელების საფუძველზე შექმნილი სურათების ძიების შედეგების სიიდან, რომლებიც ძიების შედეგად მინიატურების სახით იყო განთავსებული. სიაში ნაჩვენები იყო მხოლოდ მინიატურები, მითითებულ ვებგვერდზე ამ ფოტოების გამოქვეყნების კონტექსტის განმეორების გარეშე. შესაბამისად, სურათების გამოქვეყნების საწყისი კონტექსტი არც მითითებული და არც სხვაგვარად იყო ხილული.

ფოტო: eulawanalysis.blogspot.com

Google-მა უარი განაცხადა მოთხოვნის შესრულებაზე, მიუთითა პროფესიულ კონტექსტზე, რომელშიც ეს სტატიები და ფოტოები იყო განთავსებული. იგი აღნიშნავდა, რომ მისთვის უცნობი იყო კრიტიკულ სტატიებში განხილული ინფორმაციის სიზუსტე.

გერმანიის მართლმსაჯულების ფედერალურმა სასამართლომ, რომელიც განიხილავდა დავას, მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს და სთხოვა მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის განმარტება მონაცემთა წაშლის უფლების (ე. წ. „დავიწყების უფლება“) კონტექსტში.

2022 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებაში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო აღნიშნავს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება არ არის აბსოლუტური უფლება, მაგრამ უნდა განიხილებოდეს საზოგადოებაში მის ფუნქციასთან მიმართებით და დაბალანსდეს სხვა ფუნდამენტურ უფლებებთან პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR) პირდაპირ ითვალისწინებს, რომ წაშლის უფლება გამორიცხულია იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა დამუშავება აუცილებელია სხვა უფლების, კერძოდ კი ინფორმაციაზე წვდომის უფლების, განსახორციელებლად.

მონაცემთა სუბიექტის უფლებები პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვაზე, როგორც წესი, აღემატება ინტერნეტის მომხმარებლების ლეგიტიმურ ინტერესს, წვდომა ჰქონდეთ კონკრეტულ ინფორმაციაზე. თუმცა

პროპორციულობის დადგენისას გასათვალისწინებელია თითოეული საქმის შესაბამისი გარემოებები, კერძოდ:

1. ამ ინფორმაციის ბუნება და მისი გავლენა მონაცემთა სუბიექტის პირად ცხოვრებაზე;
2. გავლენა საზოგადოების ინტერესზე აღნიშნული ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებით.

ინტერესთა შორის ბალანსი შეიძლება, განსხვავდებოდეს იმ როლის მიხედვით, რომელსაც ეს პიროვნება ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

**პირის ვალდებულებები, რომელიც არაზუსტი შინაარსის გამო ითხოვს ძიების შედეგის გაუქმებას:** სასამართლო აცხადებს, რომ ამ მოთხოვნის მქონე პირმა უნდა დაადასტუროს, რომ სრული ინფორმაცია ან ამ ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი აშკარად არაზუსტია. თუმცა იმისათვის, რომ აღნიშნულ პირებს არ დაეკისროთ მტკიცების გადაჭარბებული ტვირთი, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას უფლების განხორციელების პრაქტიკულ ეფექტს, მოთხოვნის მქონე პირმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ იმგვარი მტკიცებულება, რომლის მოპოვებაც მისთვის შესაძლებელია გონივრულობის ფარგლებში.

**საძიებო სისტემის ოპერატორისთვის დაკისრებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები:** სასამართლო მიიჩნევს, რომ მოთხოვნის გაუქმების შესახებ საძიებო სისტემის ოპერატორმა უნდა გაითვალისწინოს ყველა უფლება და ინტერესი და საქმის ყველა გარემოება, რათა დადგინდეს, შეიძლება თუ არა კონკრეტული შინაარსის შემცველი ინფორმაციის შეტანა მისი საძიებო სისტემის გამოყენებით განხორციელებული ძიების შედეგების სიაში. თუმცა ამ ოპერატორს არ შეიძლება მოეთხოვოს, აქტიური როლი შეასრულოს იმ ფაქტების მოძიებაში, რომლებიც გაუქმების შესახებ მოთხოვნით არ არის დასაბუთებული. თუკი პირი, რომელმაც მოითხოვა მითითების გაუქმება, საძიებო სისტემის ოპერატორს წარუდგენს შესაბამის და საკმარის მტკიცებულებებს, რომლებიც დაასაბუთებს მის მოთხოვნას და დაადასტურებს ინფორმაციის აშკარა უზუსტობას, საძიებო სისტემის ოპერატორი ვალდებულია, დაეთანხმოს ამ მოთხოვნას.

ფოტო: smallbiztrends.com

**განაცხადი მიმდინარე ადმინისტრაციული ან სასამართლო წარმოების შესახებ:** როდესაც მითითებულ შინაარსში ნაპოვნი ინფორმაციის უზუსტობა აშკარა არ არის, მოთხოვნის განმახორციელებელი პირის მიერ მოწოდებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, საძიებო სისტემის ოპერატორმა მხედველობაში უნდა მიიღოს მოთხოვნა. თუმცა ამგვარ ვითარებაში, მოთხოვნის განმახორციელებელს უნდა შეეძლოს საკითხის წარდგენა საზედამხედველო ან სასამართლო ორგანოს წინაშე, რათა მან ჩაატაროს შემოწმება და დაავალოს მონაცემთა დამმუშავებელს, მიიღოს აუცილებელი ზომები. გარდა ამისა, საძიებო სისტემის

ოპერატორისგან სასამართლო მოითხოვს, გააფრთხილოს ინტერნეტის მომხმარებლები შინაარსის სავარაუდო უზუსტობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ან სასამართლო წარმოების მიმდინარეობის შესახებ, რამდენადაც იგი იყო ინფორმირებული აღნიშნული პროცესის თაობაზე.

**ფოტოების მინიატურების სახით ჩვენება:** სასამართლო აცხადებს, რომ სახელის გამოყენებით ძიებისას მონაცემთა სუბიექტის ფოტოების მინიატურების სახით ჩვენება წარმოადგენს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ჩარევას ამ პირის უფლებებში, კერძოდ, პირის პირადი ცხოვრების დაცვის უფლებაში. სასამართლო აღნიშნავს, რომ საძიებო სისტემის ოპერატორის მიერ მინიატურების სახით გამოტანილ ფოტოებზე ძიების შედეგის გაუქმების შესახებ მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, მან უნდა დაადგინოს, საჭიროა თუ არა აღნიშნული ფოტოების ჩვენება იმ მომხმარებელთა ინფორმაციის თავისუფლების უფლების რეალიზაციისთვის, რომლებიც პოტენციურად დაინტერესებულნი არიან ამ ფოტოებზე წვდომით. ფუნდამენტურ უფლებებს შორის ბალანსის დადგენისას გასათვალისწინებელია, თუ რა როლს ასრულებს ამგვარი სახით ფოტოების განთავსება საჯარო განხილვაში.

ფოტო: searchengineland.com

სასამართლო განმარტავს, რომ საჭიროა ურთიერთდაპირისპირებული უფლებებისა და ინტერესების დამოუკიდებლად შეფასება, რომლის ფარგლებში განსახილველია:

1. სტატიები, რომლებიც შეიცავს ფოტოებს და მოსაზრებებს თავდაპირველი კონტექსტის გათვალისწინებით;
2. ამ ფოტოების ინფორმაციული მნიშვნელობა, ვებგვერდზე მათი გამოქვეყნების კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. თუმცა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ნებისმიერი ტექსტური ელემენტი, რომელიც უშუალოდ ახლავს ამ ფოტოების ჩვენებას ძიების შედეგებში და რომელსაც შეუძლია ნათელი მოჰფინოს ამ ფოტოების ინფორმაციულ მნიშვნელობას.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge